გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 16 "15" 02 2016 წ.

2016 წლის 16 თებერვალს გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაციაში დელეგაციის სტუმრობასთან დაკავშირებით წარმომადგენლობითი ხარჯის გამოყოფის შესახებ

2016 წლის 15 თებერვლიდან 17 თებერვლის ჩათვლით შიდა ქართლში ჩატარდება საერთაშორისო ფორუმი ,,ინოვაციების ხელშეწყობა'', სადაც მონაწილეობას მიიღებენ პოლონეთისა და უკრაინის დელეგაციის წარმომადგენლები, შიდა ქართლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების გამგებლები, ქალაქ გორის მერი და სხვა პირები.

2016 წლის 16 თებერვალს დაგეგმილია სამუშაო შეხვედრა, როგორც ფორუმის წევრებთან ასევე ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების ხელმძღვანელებთან რის შემდგომაც მოხდება დელეგაციის 14 წევრისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელების სადილით გამასპინძლება. სულ 20 კაცის ოდენობით. ამასთანავე, დასაჩუქრდება დელეგაციის სამი ხელმძღვანელი პირი თითოეული თითო სასაჩუქრე წიგნით.

საქართველოს კანონი ,,საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ'' მე-15 მუხლის, საქართველოს კანონი ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის'' მე-6 მუხლის ,,ლ'' პუნქტის, საქართველოს მთავრობის N:308 დადგენილების, 2010 წლის 25 აგვისტოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის N:672 ბრძანების საფუძველზე:

1. 2016 წლის 16 თებერვალს პოლონეთისა და უკრაინის დელეგაციის სადილით გამასპინძლებისათვის და საჩუქრის შესაძენად წარმომადგენლობითი ხარჯებიდან გამოიყოს შესაბამისი ფინანსები.
2. საჭირო ღონისძიებების გატარება უზრუნველყოს სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის აპარატმა.
3. განკარგულების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს აპარატის უფროსს.
4. განკარგულება ძალაში შევიდეს მისი ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება შესაძლებელია გასაჩივრებულ იქნას დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ზემდგომი ორგანოს - საქართველოს მთავრობაში (თბილისი. ინგოროყვას №7) ან გორის რაიონული სასამართლოს (მის. ჯორბენაძის N30) მეშვეობით.

სახელმწიფო

რწმუნებული-გუბერნატორი

ზურაბ რუსიშვილი